საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 464/1
18/01/2022

464-1-2-202201180937

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის**
**მინისტრის მოადგილეს**
**ქალბატონ ნინო თანდილაშვილს**

**ქალბატონო ნინო,**

როგორც მოგეხსენებათ, შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“, ქალაქ მარტვილის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილი აქვს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 18 ოქტომბრის N 2-1467 ბრძანების საფუძველზე, გაცემულია სკოპინგის დასკვნა N44 (20.09.2021).

სკოპინგის დასკვნის პირობებისა და საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, შემდგომში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ გარემოსდაცვით დოკუმენტაციას:

1. ქ. მარტვილის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზ;
2. ქ. მარტვილის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 2 ეგზ;
3. ქ. მარტვილის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი - 2 ეგზ;
4. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ;
5. საპროექტო ტერიტორიის Shape ფაილები;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;



საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge

5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

7. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილია, როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული ვერსიის სახით.

პატივისცემით,

აკაკი მშვიდობაძე

დირექტორის მოადგილე